ოქმი #3

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 2 თებერვლის სხდომისა

(სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: ა. ელაშვილი, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავ-რელაშვილი, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, თ. ქადეიშვილი, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 16 წევრი).

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები.

არჩეულ იქნა სხდომის თავმჯდომარე - მამუკა ჯიბლაძე.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ აირჩია 2017 წლის 1 თებერვალს 5 წლის ვადით, და რომ ეს ვადა ამოიწურა 2022 წლის 1 თებერვალს. შესაბამისად, საჭიროა ჩატარდეს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად სამეცნიერო საბჭო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს. ნ. ფარცვანიამ მაღალ დონეზე შეაფასა ყოფილი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქდეიშვილის საქმიანობა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელა ისევ თ. ქადეიშვილი.

აზრი გამოთქვეს: ი. კიღურაძემ და მ. ჯიბლაძემ, რომლებმაც ასევე დადებითად შეაფასეს თ. ქადეიშვილის საქმიანობა და მხარი დაუჭირეს ნ. ფარცვანიას წინადადებას თ. ქადეიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურად წამოყენებასთან დაკავშირებით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. სხდომის თავმჯდომარემ მ. ჯიბლაძემ დამსწრეებს მიმართა შეკითხვით, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდეს ღია თუ ფარული კენჭისყრით. ღია კენჭისყრის საფუძველზე გადაწყდა, რომ არჩევნები ჩატარდება ღია კენჭისყრით. **ჩატარდა ღია კენჭისყრა.** კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 15-მა წევრმა (თ. ქადეიშვილმა არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა).

კენჭისყრის შედეგები: თ. ქადეიშვილი: მომხრე - 15, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ 5 წლის ვადით არჩეულ იქნა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **თორნიკე ქადეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე მ. ჯიბლაძე

სწავლული მდივანი ო. ჯოხაძე

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი
ANDREA RAZMADZE MATHEMATICAL INSTITUTE